

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ
2015 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიში**

საბიუჯეტო დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილება

„ადგილობრივი თვითმართვებლობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 7014,1 ათ.ლარით.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 17 ცვლილება. ცვლილებები ძირითადად გამოწვეულია საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვის მიზნით. ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა 2015 წლის განმავლობაში მიიღო 4812,0 ათ. ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებისთვის 1342,2 ათ. ლარი და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად 2381,9 ათ.ლარი.

გარდა ამისა ადგილობრივი შემოსავლების ზრდის ხარჯზე მოხდა ბიუჯეტის ზრდა 735,5 ათ. ლარი. მთლიანად წლის განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ბიუჯეტის ზრდამ ნაშთების ჩათვლით შეადგინა 13217,7 ათ.ლარი.

2015 წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2015 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 20 231,8 ათ.ლარით. მათ შორის:

- 1) გადასახადები - 1 569,0 ათ.ლარი
- 2) ტრანსფერი - 14 029,2 ათ.ლარი
- 3) სხვა შემოსავლები - 1 107,1 ათ.ლარი
- 4) არაფინანსური აქტივების კლება - 277,1 ათ.ლარი
- 5) შემოსავალი ნაშთიდან - 3249,4 ათ.ლარი.

შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი :

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 17 317,1 ათ. ლარი, წლიური გეგმის 101,97%-ი (წლიური დაზუსტებული გეგმა 16 982,3 ათ.ლარი).

შემოსავლების წლიური გეგმა ტრანსფერის გარეშე შესრულებულია 108,89 %-ით (გეგმა 2676,1 ათ.ლარი, შესრულება 2914,1 ათ.ლარი), მათ შორის:

- საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გასახადის გეგმა 96,60 %-ით (წლიური გეგმა 545,0 ათ.ლარი შესრულება 526,5 ათ.ლარი);
- ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა შესრულებულია 78,38%-ით. (წლიური გეგმა 290,0 ათ. ლარი შესრულება 227,3 ათ. ლარი);
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 138,63 %-ით. (წლიური გეგმა 95,0 ათ.ლარი შესრულება 131,7 ათ.ლარი);
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 144,89 %-ით.(წლიური გეგმა 639,0 ათ.ლარი შესრულება 925,9 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 99,94 %-ით (წლიური გეგმა 193,5 ათ.ლარი, შესრულება 193,4 ათ.ლარი);
- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 117,89 %-ით (წლიური გეგმა 47,5 ათ.ლარი, შესრულება 56,0 ათ.ლარი);

- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 106,32 %-ით (გეგმა 128,0 ათ.ლარი, შესრულება 136,1 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 86,0 %-ით (გეგმა 30,0 ათ.ლარი შესრულება 25,8 ათ.ლარი);
- შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 104,10 %-ით (წლიური გეგმა 581,8 ათ.ლარი, შესრულება 605,7 ათ.ლარი);
- არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 152,07 %-ით (წლიური გეგმა 277,1 ათ.ლარი, შესრულება 421,4 ათ.ლარი);

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 13 981,6 ათ.ლარი, მათ შორის:

- ა) გათანაბრებითი ტრანსფერი – 5 271,5 ათ.ლარი ;
- ბ) მიზნობრივი ტრანსფერი – 174,0 ათ.ლარი ;
- გ) ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 8 536,1 ათ.ლარი.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი (ხ ა რ ჯ ე ბ ი):

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა შეადგენს 20 231,8 ათ.ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 18 870,1 ათ. ლარი, წლიური გეგმის 93,26 %, მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 3 204,5 ათ.ლარი წლიური გეგმის 95,59 %;
- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების დაფინანსებამ შეადგინა 156,8 ათ.ლარი წლიური გეგმის 98,36 %;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 12 722,2 ათ.ლარი, წლიური გეგმის 92,16 % ;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 1 484,2 ათ.ლარი, წლიური გეგმის 100 %;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 753,6 ათ.ლარი, წლიური გეგმის 94,0 %;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 548,8 ათ.ლარი, წლიური გეგმის 86,97 %;

2015 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 153,8 ათ.ლარი, გეგმის 90,47 % .

განყოფილების თანამშრომლები ოპერატიულად ახორციელებენ საქართველოს მთავრობის განკარგულებებით, ინფრასტრუქტურული პროექტების დამფინანსებელი ფონდების მეშვეობით გამოყოფილი ფინანსების ბიუჯეტში ასახვას და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურებისა და იურიდიული პირების სრულყოფილი, ქმედითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებების მომზადებისა და განხორციელების პროცესს.

მუნიციპალური შესყიდვების განყოფილება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების განყოფილების სტრუქტურა ითვალისწინებს: განყოფილების უფროსს, წამყვანი და უფროსი სპეციალისტის თითო ერთეულს. განყოფილება დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. თანამშრომლებს შორის ფუნქციები განაწილებულია.

საანგარიშო პერიოდში განყოფილება მუშაობდა და მუნიციპალურ შესყიდვებს ახორციელებდა წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. ბიუჯეტის პარამეტრების ცვლილებასთან ერთად ხდებოდა სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ცვლილებაც.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ მომზადებულია 354 ხელშეკრულება, მათ შორის გამარტივებული წესით 276, ხოლო სატენდერო პროცედურების საფუძველზე 78. აღნიშნული ხელშეკრულებებით სულ განხორციელებულია 13 486 382 ლარის საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვა.

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს შემდეგ უმთავრეს ფუნქციას/ამოცანას:

- საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვა.
- ჯანსაღი კონკურენტუნარიანი /არადისკრიმინაციული გარემოს შექმნა.
- შესყიდვის პროცედურის გამჭვირვალობა.

ამ ფუნქციებს განყოფილება ახორციელებს როგორც ელექტრონული ტენდერების ჩატარებით, ასევე გამარტივებული წესით შესყიდვის დროს.

განყოფილების თანამშრომლების მიერ, გამარტივებული წესით შესყიდვის პროცედურის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბაზრის მოკვლევას, რაც გამოიხატება შემდეგში: ყველა მსხვილ შესყიდვაზე ჯერ ხდება ბაზრის მოკვლევა ფასების, ხარისხის და საგარანტიო ვადის პირობების გათვალისწინებით და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მიმწოდებლის შერჩევა და ფორმდება ხელშეკრულება. რაც შეეხება ელექტრონულ და გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებს ეს პროცედურები ჩვენს მუნიციპალიტეტში მაღალ პროფესიულ დონეზე ტარდება, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს ჩვენს საქმიანობაზე, არ გამოთქმულა არსებითი ხასიათის არც ერთი შენიშვნა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 78 სატენდერო პროცედურა 9 523 528 ლარის ღირებულების საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შესასყიდად. ამ პროცედურების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ 1673 881 ლარი ანუ მთლიანი სავარაუდო ღირებულების 17,75% შეადგინა.

მიღებულმა ეკონომიამ (1 673881 ლარი) საბოლოო ჯამში მოგვცა ის შედეგი, რომ ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებით შესრულებული იქნა უფრო მეტი სამუშაო ვიდრე ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული.

განყოფილება სერიოზულად ეკიდება შესყიდვებთან დაკავშირებულ წერილებსა და განცხადებებზე რეაგირების საკითხს. შემოსული ყველა კორესპოდენცია რეაგირებული და პასუხგაცემულია.

მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფის განყოფილება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა 2014 წლის აგვისტოს თვიდან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი გაიყო ორ მუნიციპალიტეტად, რამაც დღის წესრიგში დააყენა ჩვენს ბალანსზე რიცხული ქონების რეგისტრაციის საკითხები. რისი განხორციელებაც თავისთავად დაულაღავ შრომასა და დროს საჭიროებს. მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 8 აგვისტოს #73 ბრძანებით შექმნილი „გაუქმებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის უძრავი და მოძრავი ქონების გადმოცემის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის“ მიერ ჩატარებული წინასწარი შემოწმებით გამოვლინდა შემდეგი:

2015 წლის 30 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმდა ოზურგეთის საკრებულოს 2014 წლის 13 ივნისის #65 და ახლად შექმნილ ოზურგეთის მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვადგებულებების გადანაწილებისათვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ქონების და ვადგებულებების გადანაწილების ნუსხის დამტკიცების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 ივნისის #66 განკარგულებებით განსაზღვრულ უძრავ-მოძრავ ქონებებს ვადგებულებების თანდართული დანართების შესაბამისად.

დროებითა სამუშაო ჯგუფმა აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტით შეადგინა სარეკომენდაციო წერილი, რომელშიც ჩამოაყალიბა აღწერის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის და გასატარებელი ღონისძიებების გზები, კერძოდ:

1. მრავალწლიანი ნარგავები და ქარსაფარი ზოლები 2014 წლის 13 ივნისის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #66 განკარგულებაში არ ფიქსირდება, სამუშაო ჯგუფის მიერ 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ცვეთის უწყისიდან მოპოვებული მონაცემებით მრავალწლიანი ნარგავების და ქარსაფარი ზოლების საწყისი ღირებულება შეადგენს 5580460 ლარს (ნარჩენი ღირებულება 4902834 ლარი). აღნიშნული ქონება არ არის დარეგისტრირებული, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის` 107-ე მუხლის თანახმად მწვანე ნარგავები და ქარსაფარი ზოლები მიკუთვნებულია მუნიციპალიტეტის ქონებას, ინვენტარიზაციის დროს გამოვლინდა კერძო მოსახლეების მხრიდან ქარსაფარი ზოლების, მწვანე ნარგავების უნებართვოდ შემოღობვისა და შესაბამის უწყებებში დარეგისტრირების ფაქტები, დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ზემოთ აღნიშნული პრობლემის გამო დარეგისტრირებული არ აქვს მის ტერიტორიაზე არსებული ქარსაფარი ზოლები და მწვანე ნარგავები. საჭიროა საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენა და მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირება, რაც თავისთავად მოითხოვს სპეციალისტებს, დროსა და ფინანსებს.

2. განკარგულებაში სრულად არ არის ასახული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათება, კერძოდ არ არის მითითებული კომპლექტაცია გარე განათების მოწყობილობების: ყუთების, მრიცხველების, ლამპიონების, შემაერთებელი ხაზების, რაც თავისთავად მოითხოვს სპეციალისტებს, დროსა და ფინანსებს. მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილმა კომისიამ დაიწყო აღნიშნული პრობლემის შესწავლა, სოფლების მიხედვით აღრიცხული იქნა აღნიშნული მატერიალური ფასეულებები და შედარების მიზნით გადაგზავნილი იქნა სს `ენერგო-პრო ჯორჯიას` ოზურგეთის ფილიალში. მიღებული მონაცენები საჭიროებს აუდიტორიულ შეფასებას

3. განკარგულებაში ასევე შეტანილია ტრანფორმატორები და ქვესადგურები. მათზე სრული ინფორმაციის მოპოვების მიზნით ჩვენს მიერ 2-ჯერ გადაიგზავნა სს `ენერგო-პრო ჯორჯიას` ოზურგეთის ფილიალსა და სათაო ოფისში მიმართვა, რომელზეც პასუხი დღემდე არ მიგვიღია. ამ ეტაპზე შეუძლებელია მესაკუთრის დადგენა მუნიციპალიტეტსა და სს `ენერგო-პრო ჯორჯიას` შორის.

4. განკარგულებაში სრულად არ არის ასახული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყალმომარაგების სისტემები, კერძოდ არ არის მითითებული კომპლექტაცია, რაც თავისთავად მოითხოვს სპეციალისტებს, დროსა და ფინანსებს.

5. აა(ი)პ -ი მუნიციპალური ტრანსპორტისათვის გადასაცემ სატრანსპორტო საშუალებებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #66 განკარგულებაში დაფიქსირებულია მიკროავტობუსი მერსედეს ბენცი ღირებულებით 7830 ლარი, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 18,06,2014 წლის ბრძანება № 173 -ის საფუძველზე გადაცემული იქნა გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაციაზე სარგებლობის უფლებით.

6. საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით მოძიებული იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რეკომენდირებულია მათი

ძირითად აქტივად აღიარება ნულოვანი ღირებულებით და შემდგომში აუდიტის შეფასების საფუძველზე მათი ბალანსში ასახვა.

7. განკარგულებაში დაფიქსირებულია იყო უძრავი ქონება რომელიც ფიზიკური ადგილსამყოფელის მიხედვით არ ეკუთვნოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და გადაეცა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს.

8. უძრავი ქონების ჩამონათვალში დაფიქსირებული იყო ისეთი ძირითადი აქტივები, რომლებიც უკვე პრივატიზირებულია, აღნიშნული ჩამონათვალიდან ამოღებული იქნა.

9. განკარგულებით განსაზღვრულია ა(ა)იპ ოზურგეთის სერვის ცენტრისათვის გადასაცემი მოძრავი ქონება საერთო ღირებულებით ღირებულებით 326 684 ლარი. მათგან ააიპ -ისათვის გადაცემული იქნა მოძრავი ქონება ღირებულებით 266 890 ლარი, ხოლო დანაკლისად დაფიქსირებული იქნა უძრავი ქონება ღირებულებით 5 906 ლარი.

10. დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ გამოვლენილი იქნა დანაკლისის სახით გამოვლენილი იქნა მოძრავი და უძრავი ქონება, რაც ასახული იქნა მიღება-ჩაბარების აქტში.

11. განკარგულებით მუნიციპალიტეტის ერიცხება ორი დასასვენებელი სახლი ბახმაროში. სოფელ შრომის კოლმეურნეობის მიერ 1962 წელს აშენებული შენობა დღესაც დგას, ფუნციონირებს და საჭიროებს რეგისტრაციას, ხოლო სოფელ მელექედურის მიერ 1960 წელს აშენებული საცხოვრებელი სახლი ჩვენს მიერ მოძიებული 2005 წლის 25 აგვისტოს აქტის საფუძველზე ავარიულ მდგომარეობის გამო დაუშლიათ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დამატებითი მონაცემების მისაღებად და მიწის ნაკვეთის დასარეგისტრირებლად გადაგზავნილი იქნა მიმართვა, რომელზეც მიღებული იქნა უარყოფითი პასუხი.

2014 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი იქნა 2 ცალი სპეცტექნიკა და 60 ცალი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერები, რომელიც გადაეცა თვითმართველი თემი-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ მუნიციპალური მომსახურების ცენტრს.

2015 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საქართველოს ქონების ეროვნული სააგენტო-დან მიღებული იქნა 5 ცალი სპეციალური ტექნიკა და 500 ცალი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერები. აქედან 2 ცალი სპეცტექნიკა და 150 ცალი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერი გადაეცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს თხოვების ხელშეკრულებით, ხოლო დანარჩენი სპეცტექნიკა და კონტეინერები გადაეცა თვითმართველი თემი-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ მუნიციპალური მომსახურების ცენტრს.

2015 წელს მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდიდან გამოგვეცა ზღვის გამწმენდი აღჭურვილობა 9 ერთეული, რომლებიც გადაეცა თვითმართველი თემი-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს მუნიციპალური მომსახურების ცენტრს.

განყოფილების თანამშრომლების მიერ მკაცრ კონტროლზეა აყვანილი მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული და პირად საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვის, მატერიალურ-ტექნიკური მომსახურებისა და საწვავის მიღება-ჩამოწერის დოკუმენტაციის წარმოება.

საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის უფროსი:

გ. მამაკაიშვილი